ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2923

12 ოქტომბერი 2012 წ.

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გულსისძარღვთა კლინიკის დამხმარე-სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 4 ოქტომბრის სხდომის №39 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გულსისძარღვთა კლინიკის დამხმარე-სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) განისაზღვროს: კ1=0,5.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №39

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ნინო გვენცაძე

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, დავით აბულაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, გიორგი ტყემალაძე, გიორგი ჩაჩანიძე.

მოწვეულები: რ. აბესაძე, თ. მარღიშვილი, ს. ბენდიანიშვილი, თ. მურვანიძე, გ. ვიბლიანი, ა. ბიბილაშვილი, ვ. სოხაძე, ზ. ნიკოლაიშვილი, რ. გეთიაშვილი, გ. გეთიაშვილი, ქ. გოთუა, კ. ტყეშელაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

7. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.630-ის მიმდებარედ) შესყიდვის მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – რ. გეთიაშვილი, გ. გეთიაშვილი).

8. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა №46-ში არსებული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

9. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12-ე კილომეტრი, მუხადგვერდის გადასახვევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.620) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ქ. გოთუა).

10. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ც. დადიანის ქ. №237-ში არსებული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – კ. ტყეშელაშვილი).

11. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.10.444) და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

12. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლება, II მიკრორაიონი, II კვარტალი, №149 სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.12.02.025.005) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

13. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.085) ღობის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

14. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთი რაიონში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გულსისძარღვთა კლინიკის დამხმარე–სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, ქალაქთმშენებლობითი პირობების, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

15. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.08.03.475, 81.08.03.476) ხაცხოვრებელი კომპლექსისა და საზოგადოებრივი შენობების (საავტო, სპორტული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

13. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.085) ღობის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

განმცხადებელი – ს. შარიფოვი. **AR 183782**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა <u>ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.085) ღობის განთავსებაზე.</u>

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

14. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთი რაიონში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გულსისძარღვთა კლინიკის დამხმარე–სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, ქალაქთმშენებლობითი პირობების, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. ლოსაბერიძე. **AR 184039**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.
შესაძლო ზონის სახეობა – სპეციალური ზონა.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,2.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთი რაიონში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გულსისძარღვთა კლინიკის დამხმარე–სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, ქალაქთმშენებლობითი პირობების, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განსახილოს საკითხი ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთი რაიონში, ლუბლიანას ქ. №18/20-ში არსებული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სახეობა სარეკრეაციო ზონა 2-ის, სპეციალური ზონით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,5.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

15. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.08.03.475, 81.08.03.476) საცხოვრებელი კომპლექსისა და საზოგადოებრივი შენობების (სავაჭრო, სპორტული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – ა. ნარეკლიშვილი. AR 183621

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. გასათვალისწინებელია სპორტული ზონის გააზრება (გასაზრდელია მოედნის ზომები).
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.08.03.475, 81.08.03.476) საცხოვრებელი კომპლექსისა და საზოგადოებრივი შენობების (სავაჭრო, სპორტული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

16. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, ტაბახმელაში, ოქროყანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.01.004.004)

- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.27.889) I კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით: კ1=0,5, კ2=0,8, კ3=0,3.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **არისი ბოჭოიძე**

კომისიის აღმასრულებელი მდივანი **ნინო გვენცაძე**